# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|
| ერთის წლისა — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამ ს თვისა — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

**პირველი წელიწადი**

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.**

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 5. სამშაბათი. I. 26 მარტს 1868 წ.



**შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: სასოფლო** უფლებათ მოქმედება პირველ დაწყებითს გამოძიებაში. — **არა ოფიციალური ნაწილი: სოფლელ** მკითხველთათვის დასასწავლი რაღაც-რაღაცაები. — **ბოსტნის** კეთებაზე. — **შინაური აქიმობა:** კბილის ტკივილი. — **საქონლის ჭირზედ.** — **სხვა და სხვა დარიგება და ამბავი: ორიოდე** დარიგება მოწამლის შეტყობაზედ. — **მავნებელი** თაგვების გამრავლებაზედ და სხვ.


## ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ.

### УЧАСТІЕ СЕЛЬСКИХЪ ВЛАСТЕЙ ВЪ ПРОИЗВОДСТВѢ ПЕРВОНАЧАЛЬНАГО СЛѢДСТВІЯ.

*а.* О всякомъ происшествіи, заключающемъ въ себѣ признаки преступленія или проступка, сельскія власти немедленно, и никакъ не позже *сутокъ* по полученіи о томъ свѣдѣнія, сообщаютъ судебному слѣдователю и прокурору или его товарищу.

*б.* Свѣдѣнія по преступленіямъ и проступкамъ, подлежащимъ вѣдомству мировыхъ судей, сельскія власти передаютъ имъ, по принадлежности.

*в.* Когда ни судебнаго слѣдователя, ни прокурора или его товарища нѣтъ на мѣстѣ, то сельскія власти, сообщая имъ о происшествіи, заключающемъ въ себѣ признаки преступнаго дѣянія, вмѣстѣ съ тѣмъ производятъ надлежащее о немъ дознаніе.

*г.* Когда признаки преступленія или проступка сомнительны, или когда о происшествіи, имѣющемъ такіе признаки, сельскія власти извѣстятся по слуху (народной молвѣ), или вообще изъ источника не вполнѣ достовѣрнаго, то во всякомъ случаѣ, прежде сообщенія о томъ по принадлежности, они должны удостовѣриться чрезъ дознаніе: дѣйствительно ли происшествіе то случилось, и точно ли въ немъ заключаются признаки преступленія или проступка.

*д.* При производствѣ дознанія сельскія власти всѣ нужныя ей свѣдѣнія собираютъ посредствомъ розысковъ, словесными распросами и негласнымъ наблюденіемъ, не производя ни обысковъ, ни выемокъ въ домахъ.

*е.* Произведенное дознаніе сельскія власти передаютъ судебному слѣдователю, которому впослѣдствіи сообщаютъ и всѣ дополнительныя свѣдѣнія, собранныя ими по тому же предмету. Передавая дознаніе слѣдователю, сельскія власти доносятъ о томъ прокурору или его товарищу.

*ж.* До прибытія судебнаго слѣдователя, сельскія власти принимаютъ мѣры, необходимыя для того, чтобы предупредить уничтоженіе слѣдовъ преступленія и пресѣчь подозрѣваемому способы уклоняться отъ слѣдствія.

*з.* Сельскія власти принимаютъ мѣры къ пресѣченію подозрѣваемому способовъ уклоняться отъ слѣдствія въ слѣдующихъ случаяхъ:

1) когда подозрѣваемый застигнутъ при совершеніи преступнаго дѣянія или тотчасъ послѣ его совершенія;

2) когда потерпѣвшіе отъ преступленія или очевидцы укажутъ прямо на подозрѣваемое лицо;

3) когда на подозрѣваемомъ или въ его жилищѣ найдены будутъ явные слѣды преступленія;

4) когда вещи, служащія доказательствомъ преступнаго дѣянія, принадлежатъ подозрѣваемому или оказались при немъ;

5) когда онъ сдѣлалъ покушеніе на побѣгъ, или пойманъ во время или послѣ побѣга, и

6) когда подозрѣваемый не имѣетъ постояннаго жительства или осѣдлости.

*и.* Въ тѣхъ случаяхъ, когда сельскими властями застигнуто совершающееся или только что совершившееся преступное дѣяніе, а также когда, до прибытія на мѣсто происшествія судебнаго слѣдователя, слѣды преступленія могли бы изгладиться, сельскія власти замѣняютъ судебнаго слѣдователя во всѣхъ слѣдственныхъ дѣйствіяхъ, нетерпящихъ отлагательства, какъ то: въ осмотрахъ, освидѣтельствованіяхъ, обыскахъ и выемкахъ; но формальныхъ допросовъ ни обвиняемымъ, ни свидѣтелямъ, сельскія власти не дѣлаютъ, развѣ бы кто изъ нихъ оказался тяжко больнымъ и представилось бы опасеніе, что онъ умретъ до прибытія слѣдователя.

*і.* Въ случаяхъ, означенныхъ въ статьяхъ *з* и *и* сельскія власти соблюдаютъ во всей точности правила, постановленныя для производства предварительнаго слѣдствія.

*к.* По прибытіи судебнаго слѣдовател

сельскія власти передаютъ ему все производство и прекращаютъ свои дѣйствія по слѣдствію до полученія особыхъ о томъ порученій.

## ოფიციალური ნაწილი.

### სასოფლო უფლებათა მოქმედება პირველ დაწყებითს გამოძიებაში.

ა. თუ რამე იმისთანა მოხდა, საცა ბრალეულობა ან დანაშაულობა სჩანს, სოფლის მოხელე და თავმა კაცებმა არამც და არამც ერთ დღეზე არ უნდა გადააცილონ, დაუყოვნებლათ უნდა აცნობონ ან მომრიგებელს მოსამართლეს, ან უეზდის ნაჩალნიკს პოკურორისა, ან იმის ამხანაგის შესატყობინებლათ.

ბ. რაც რამე ბრალეულობით და დანაშაულობით ჩადენილა, თუ ყველა მომრიგებელი მოსამართლის საქმეა, მაშინვე იმას უნდა გა-ნუცხადონ ისა და ამასთანავე საჭირო ამბებიც შეატყობინონ.

გ. საცა დანაშაულობა მომხდარა, თუ იქ არც მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეა მისული, არც პროკურორი, ან იმისი ამხანაგი, მაშინ სოფლის მოხელე კაცებმა უნდა აცნობონ ბოროტ-მოქმედების ნიშნები და ამასთანავე რისაც რიგია, იმის შეტყობასაც უნდა შეუდგნენ.

დ. როცა დანაშაულობის მისაკვლევი ნიშნები იჭვშია, ან თუ სოფლის მოხელენი გაგონებით იტყობენ მომხდარ დანაშაულობას, ან თუ საზოგადოთ დასაჯერებელი საბუთი არა არის რა ნაპოვნი, ყოველს შემთხვევაში, საცა რიგია, ვიდრე იქ აცნობებდნენ, უნდა შეუდგნენ მართლის შეტყობასა: ნამდვილათ მომხდარა, თუ არა დანაშაულობა, ან რა მამხილებელი ნიშნებია დანაშაულობისა.

ე. როცა სოფლის მოხელე ან თავი კაცი დანაშაულობის შეტყობას შეუდგება, ყველა საჭირო ამბების ძებნას იწყებს გამოკითხვით და ჩუმათ თვალ-ყურის დევნებით; მაგრამ სახლი კი არა ვის არ უნდა გაუჩხრიკოს.

ვ. სოფლის მოხელეს და თავ-კაცებს რაც რამე შეუტყვიათ, ყველა მომრიგებელ მოსამართლის თანა-შემწეს უნდა ჩააბარონ. იმავე დანაშაულობაზე შესახებს შემდეგ შეტყობილს დასამატებელს ამბებსაც იმასვე აცნობებენ. რა კი ამისთანა საჭირო ამბებს მოსამართლის თანაშემწეს გადასცემენ, შემდეგ ეს პროკურორს ან იმის ამხანაგს უნდა განუცხადონ.

ზ. სანამდის გამომძიებელი მოვიდოდეს, მამასახლისმა და სხვა თავმა კაცებმა უნდა იხმარონ იმისთანა ღონის-ძიება, რომ დანაშაულობის კვალი არ მოიშალოს და ვიზედაც ეჭვი აქვთ, იმას არ მისცენ ნება, რომ გამოძიებას თავი მოარიდოს.

ჱ. მამასახლისმა და სხვა თავმა კაცებმა უნდა იხმარონ იმისთანა ღონის-ძიება, რომ ბრალდებულს არ მისცენ ნება გამოძიებას თავი მოარიდოს, ამ შემდეგს შემთხვევებში:

1) როდესაც ბრალდებულს თავზე წასტყდომიან დანაშაულობის დროს ან იმ წამსვე, როცა დანაშაულობა ჩაუდენია.

2) როცა დანაშაულობით დაზარალებულნი ან თვალით მნახველნი პირ-და-პირ აჩვენებენ ბრალდებულს პირსა.

3) რომელსაც აბრალებენ, როცა იმას უნახვენ დანაშაულობის ცხადს ნიშნებსა თავის სახლში ან თვითონ იმასვე.

4) როდესაც ნივთი, რომელიც ამტკიცებს დანაშაულობას, ბრალდებულს კაცს ან ზედ უნახეს, ან თუ იმას ეკუთვნის.

5) როდესაც ის გაქცევას დააპირებს, ან თუ გაქცევის დროს დაიჭირეს, ან გაქცევის შემდეგ.

6) როცა ბრალდებულს მკვიდრი ადგილ-სამყოფი არა აქვს.

თ. იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულობას მოასწრეს ან ჩადენის დროს, ან ცოტა ხანს შემდეგ, აგრეთვე თუ გამომძიებლის მოსვლამდის იციან, რომ დანაშაულობის კვალი დაიკარგება, მაშინ თვითონ მამასახლისებმა და სხვა თავმა კაცებმა გამომძიებლის მაგიერათ უნდა შეუდგნენ იმის გამოკვლევას, რის გადადებაც შემდეგ დროსთვის არ შეიძლება, მაგალითად მაშინვე უნდა შეუდგნენ: გასინჯვას და დამოწმებას, მოძებნას და სახლის გაჩხრეკას; მაგრამ კანონიერს კითხვებს კი ვერ მისცემენ ვერც დამნაშავეს, ვერც მოწმებს, იმ შემთხვევას გარდა, როცა დამნაშავე ან მოწამე ისე ავათ არის, რომ გამომძიებლის მოსვლამდის მიიცვლება.

ი. როცა გამომძიებელი მოვა, მამასახლისებმა და თავმა კაცებმა უნდა გადასცენ მას ყველა გვარი საქმის წარმოება, რაც თვალით უნახავთ და შეუტყვიათ. ამითი ისინი შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, იმ დრომდის, სანამდის ახალს მინდობილებას და დარიგებას არ მიიღებენ მთავრობის პირებისგან.

## არა ოფიციალური ნაწილი.

### სოფლელ მკითხველთათვის დასასწავლი რაღაც რაღაცაები.

როგორც წინეთ ვთქვით ფოთოლი არის ხის ორგანო, რომელიც ინელებს მიწიდგან ასულს წვენს და ისუნთქავს ჰაერს მცენარის სასიცოცხლოთ. ფოთოლი იყოფება ორ ნაწილად: ფ ო თ ო ლ ი და ფ ო თ ლ ი ს ტ ა რ ი. ფოთოლი ჰქვიან ფოთლის ბრტყელს ნაწილს და იმის ფეხს — ტ ა რ ი. თუ ფოთოლს ტარი არა აქვს, მაშინ ეძახიან უ ტ ა რ ო ფ ო თ ო ლ ს ა. სახით ფოთოლი ბევრ ნაირია: ქ ვ ე რ ც ხ ნ ა ი რ ი, როცა კვერცხსავით მოგძოა, თავში ვიწროა და ტართან ბოლო ფართო აქვს; გ უ ლ ნ ა ი რ ი, როცა ფოთოლი კაცის ან ცხოველის გულსა ჰგავს, ლ ა ხ ვ ა რ-ნ ა ი რ ი, როცა ლახვარს ჰგავს, ნ ე შ ტ ა რ-ნ ა ი რ ი, როცა ნეშტარს ჰგავს და სხვ. ფოთოლს აქვს ძ ა რ ღ ვ ე ბ ი. მაგალითად, გავსინჯოთ სიმინდის ფოთოლი. როცა ძარღვები ისეა დაწყობილი, როგორც სიმინდის ფოთოლში, მაშინ ამისთანა ფოთოლს ძ ა ვ-ძ ა რ ღ ვ ა ს ეტყვიან. ახლა ვნახოთ მ ხლის, მუხის ან სხვა რომელიმე ფოთოლი. ამისთანა ძარღვებიან ფოთოლს ეტყვიან ძ უ თ ხ-ძ ა რ ღ ვ ა ს. ფოთლის ძარღვებს შუა ალაგები მწვანე ნივთით არის გავსებული და იმის გამო მთელს ფოთოლს მწვანე ფერი სძევს. ამ ნივთს დავარქვათ ნ ა ფ ქ ვ ი. (აქ რომ სახელებს ვსწერთ, ესეები მკითხველებმა უნდა კარგათ დაიხსოვნონ, ამიტომ რომ მერე სამეცნიერო საგნებზე რომ დავიწყებთ ლაპარაკს, ჩვენი აზრის გაგება აღარ გაუჭირდება). ფოთოლს ორ მხრივ წმინდა კანი აქვს გადაკრული. ეს კანი რომ ავ ფრცქვნათ, ისეთი თხელია, რომ თითქმის მინასავით სინათლე გადის. ამისთანა ნივთებ ვეტყვით გ ა მ ს ჭ ვ ე რ ს. მაშ მინა გამსჭვე რი ნივთი ყოფილა! აგრეთვე ფოთლის კა ნიც იმდენათ თხელია, რომ გამსჭვერია. ხი ფოთოლს ერთი გვერდი ცისკენ აქვს მიშვ

რილი, მეორე მიწისკენ. ერთს დაეუძახოთ ზედა გვერდი, მეორეს—ქვედა გვერდი. ფოთლის ქვედა გვერდზე რომ კანი აეაძროთ ჩვენი თვალით ვერაფერს შევნიშნავთ; მაგრამ სწავლულებმა მოიგონეს გამდიდებელი შუშა. იქ რომ პატარა ბუსუსი ჩადვა ხისოდენათ გამოაჩენს. რასაკვირველია, რომ რასაც ჩვენი თვალი ვერ შეამჩნევს, ის ამ გამდიდებელს შუშაში გამოჩნდება. ამ შუშას მიკროსკოპი ჰქვიან. მკითხველმა ეს სახელიც უნდა დაისწავლოს. ამ მიკროსკოპში რომ ფოთლის ქვედა-გვერდზე აფრცქენილი კანი ჩასდვა და ჩაიხედო, შენიშნავ რომ იმ კანს პატარ-პატარა პირები ასხია, იმისთანა პირები, როგორიც ჩვენ გვაქვს. ამ პირებს ბაგეს ეძახიან. ფოთლის ბაგეები დღისით დამუწულია და ღამით დაღებული. ეს ბაგეები ფოთლის ორგანოა, რომლითაც სუნთქ ვს მცენარე. ჩვენ როცა ვსუნთქავთ, ჰაერი ხდება. გამონასუნქვი შესასუნთქავათ აღარ ვარგა ჩვენთვის, მაგრამ მცენარისთვის ჩვენი გამონასუნთქვი ჰაერი ძალიან კარგია და მცენარის გამონასუნთქვი ჰაერი კი ჩვენ შესასუნთქავათ არის კარგი. მცენარეს შესასუნთქავს ჰაერს ჩვენი ფილტვები ამზადებს და ჩვენ შესასუნთქავს ჰაერს კი მცენარე გვიმზადებს. ამ სახით მცენარენი და ჩვენ ერთი ერთმანეთის საკეთილ-დღეოთ ვართ გაჩენილი. ძალიან რომ ამ სახით იქცეოდნენ კარგი არ იქნება, მკითხველო! მაშინ ხომ უსამართლოებას კბილი მოსძვრებოდა და კაცებსაც დღეგრძელობა მოემატებოდა. ფოთოლი ხეს გაზაფხულიდგან შემოდგომამდე მსახურებს, მაშინ ხეც იზრდება. შემდგომა ის გახმება და ჩამოცვივა, მაშინ ხეც აღარ იზრდება და ზამთარში სიცოცხლე მიძინებულია. ზოგი ხეა, რომ ყველა ფოთლები ერთბაშათ არ ჩამოსცვივა. ერთი ფოთოლი რომ ჩამოვარდება, იმის მაგიერათ მეორე გაეზრდება. ამისთანა ხე მუდამ ამწვანებულია. მაგალითად ფიჭვი, ნაძვი, დაფნა, ბზა და სხვ.

ფოთოლი ასხია ხის ღერს და ტოტებს. რაც ღერს და ფოთოლს შუა ალაგი რჩება, იმას ჰქვია ფოთლის უბე. ზაფხულს ფოთლის უბეში ხეს პატარა კვირტი, (კოკორი, კუკური), გამოუა. ეს კვირტი შემოდგომის განმაელობაში გაიზრდება, ისე რომ ზამთრის პირს კარგა მოზრდილია. ეს კვირტი მრავალ პატარ-პატარა გამხმარ ფოთლებშია გახვეული და ფის-შემოკრული, იმ აზრით რომ ზამთარს სიცივემ არ დაძრას. ამ გამხმარს საბურველს, საფუთნავს ეტყვიან ხის ქერტლსა. კოკორი რომ გასჭრა შუაში პატარა ღერია და გარეშემო ერთი ბეწო ფოთლები ასხია. ასე რომ კოკორი ანუ კვირტი ერთი ბეწო ხის ტოტია თავისი ფოთლებით. გაზაფხულს ეს პატარა ღერი დაგრძელდება, ფოთლები გაეზრდება და გადაიქცევა ახალ მოზარდ ხის ტოტათ. კვირტია ორ ნაირი: ერთს საფოთლე კვირტს ეძახიან, მეორეს საყვავილე კვირტსა. საფოთლე კვირტი გაიზრდება პატარა ტოტათ, რომ ლსაც ფოთლები გაეშლება. საყვავილე კვირტი გაიზრდება ტარათ, რომელიც ისხამს ყვავილებს. ამ ტარს ჰქვია ყვავილის ფეხი.

კიდევ არის მესამე ნაირი კვირტი, რომელსაც ეტყვიან ფესვის კვირტსა. ეს კვირტი ამოდის ფესვზე და თავზე კანი აქვს ჩამოცმული, ამ კანს ეძახიან კვირტის ქუდს. ეს კვირტი არასოდეს ფოთლებს არ მოისხამს; ის იზრდება, არღვევს მიწას და გახდება ფესვის ფოჩათ, რომელიც სწოვს მიწის წვენსა. როგორც წინათ ვსთქვით ღერი, ფესვი და ფოთოლი მცენარის მასაზრდოებელნი ორგანონი არიან. ახლა შევუდგეთ მცენარის საშენებელი და გასამრავლებელი ორგანოების აწერას. ისინი არიან ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

---

## სამეურნეო ცნობა.

### ბოსტნის კეთებაზე.

წინათ მოვითვალეთ ზოგიერთი პირობები, რომელნიც ბოსტნის მკეთებელმა უნდა იცოდეს. ისინი კიდევ მოკლეთ მოვთვალოთ და შემდეგ განვაგრძელოთ ჩვენი საუბარი:

1 ბოსტანი უნდა იყოს სახლს ახლო.

2) ცივი, მავნებელი ქარი არ უნდა ხვდებოდეს. ზოგ ალაგას მავნებელი ქარი ზენა ქარია, ზოგგან—ქვენა ქარი. ეს ალაგის მდებარეობაზე ჰკიდია.

3) საითკენაც მზე არ აჭერს, საბოსტნე ადგილი იმ მხრით არ უნდა იყოს მიშვერილი.

4) შიგ ბოსტანში, ან ბოსტნის მახლობლათ უეჭველად, კარგი თვისების წყალი საკმაოთ უნდა ჰქონდეს. ეს არის მიუცილებლათ საჭირო ნივთი ბოსტნეულობის გასახარებლათ.

5 როცა კაცი საბოსტნე ალაგს ირჩევს, ნიადაგის სიკეთეს მაინცა და მაინც განსაკუთრებითი ყურადღება არ უნდა მიაქციოს. ამიტომ რომ ცუდი ნიადაგიც რომ იყოს, სხვადა სხვა ღონისძიებით იმის გაკეთება მაინც შესაძლებელია. ბოსტნისთვის საუკეთესო ნიადაგია თიხა-ქვიშა ნარევი შავი მიწა ერთ მტკაველ სიღრმეზე და ამასთან ძალიან დაშლილიც უნდა იყოს. თუ ნიადაგი არ არის ამ თვისებისა, მებოსტნემ თან და თან უნდა გააკეთოს, ამიტომ რომ კარგი მოსავალი და მასთან კარგი ბოსტნეული ნიადაგზეა დამოკიდებული. თუ ძალიან ქვიშიანი და დაშლილიც ნიადაგია, შეიძლება თიხა ან ნაგავი შეურიოს კაცმა და ნიადაგი ცოტათ გაამაგროს. თიხიანი ნიადაგი მჭიდა-ქვით, მსხვილი ქვიშით და ნაცრით უნდა შეზავდეს, მაგრამ ჯერ რუების გაყვანით ძალიან უნდა დაიწრიტოს. ძალიან მაგარს თიხიანს მიწას უნდა შეურიოს კაცმა ქვიშა; ამასთანავე სასუქითაც ძალიან უნდა გასუქოს და განსაკუთრებით ზამთრის პირზე ძალიან მომჭირნეთ უნდა შეიმუშაოს.

თუ ნიადაგი ძალიან თხელია და სრულებით სიღრმე არა აქვს, მიუცილებლათ საჭიროა იმის ღრმათ მოხვნა. როცა კვალებათ გაიმართება, კვლებს შუა გზები ძალიან დატანილი უნდა იყოს. ამისგამო თვითონ კვლებიც ამაღლდებიან და ნიადაგი გასქელდება.

თუ ნიადაგი მძიმე და ნესტიანია, მაშინაც ამავე გვარათ უნდა მოიქცეს მებოსტნე.

და თუ ნიადაგი ძალიან დაშლილია, მაშინ კი კვლების ამაღლებას უნდა ერიდოს კაცი, ამიტომ რომ სისველე ძალიან მალე ეკარგება და ბოსტნეულობა გოლვიანობით არ გაიხარებს.

სველი ნესტიანი ნიადაგი საბოსტნეთ არ ვარგა. თუ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ნესტს იტანს, ხოლო ზაფხულზე მშრალია, მაშინ ამისთანა ნიადაგზე ზოგიერთი ბოსტნეულობის მოყვანა შეიძლება, მაგრამ არამცა და არამც ამისთანა ნიადაგზე ნაადრი და ნაზი ბოსტნეული არ უნდა დაითესოს. ამ შემთხვევაში ჯერ უნდა დასწრიტო და გააშრო ნიადაგი და შემდეგ ნაადრი ბოსტნეული უნდა დათესო.

ხველი საბოსტნე ალაგი ბოსტნის გაკეთე-

ბამლის უნდა დაწრიტო და გააშრო. ალაგის გაშრობა ბევრ ნაირათ შეიძლება.

ა. დაბალი და გაშლილი ადგილის გასაშრობათ საჭიროა ღმრა რუების გავლება იმ ადგილებზე საცა მიწა უფრო დაცემულია. მაგრამ ეს არცკია ერთობ სასარგებლო. ამისთანა რუებში წყალი მალე ჰხდება, აყროლდება ხოლმე, ბევრი მავნებლი ჭიები და ლოკოკინები გაჩნდება ხოლმე იმაში და ესენი კი ბოსტნეულს სჭამენ.

ამასგარდა რუები მალე ამოივსება ხოლმე და ხშირ-ხშირად სჭირდება გამოწმენდა. თუ შეიძლება, რომ რუ რიყის ქვით მოკირწყლოს კაცმა, ეს რასაკვირველია ყველას ემჯობინება, ამიტომ რომ რუ არ ამოივსება და თუ ჩაიქცა, წყალი მაინც ქვების გამო არ შეგუბდება.

აქ ერთი შესანიშნავი ამბავი უნდა მოვიხსენოთ. წინათ ჩვენს მკითხველებს ავუხსენით თუ რას ვეძახით ჩვენ ნიადაგსა. ეს არის ის ნოყიერი მიწის პირი, რომელზედაც დავდიართ და რომელზედაც ამოდის ყოველ გვარი მცენარე. მაგრამ ეს მიწის პირი ძალიან ღრმა არ არის. ბევრი რომა ვსთქვათ ორ მტკაველს სისქეს არ გადასცილდება, უფრო ხშირად ნახევარი მტკაველი აქვს და ზოგგან ისიც არა. ამ ნიადაგის ქვეშ ძევს სხვა ნაირი მიწა ბევრათ ნაკლებათ განოყიერებული, რომელსაც უნდა დავუძახოთ ქვე ნიადაგი. მაშ რაზედაც ნიადაგი ძევს, იმ მიწის პირს ჰქვია ქვე-ნიადაგი. მკითხველმა უნდა დაისწავლოს ეს სახელები კარგათ, რომ მეორეთ და მესამეთ იმისი ახსნა აღარ დაგვჭირდეს.

ბ. როდესაც ქვე-ნიადაგათ თხელი თიხაა და იმის ქვევით ქვიშა იწყება, მაშინ ძალიან სასარგებლო იქნება, რომ რუები ამ თიხიან ქვე-ნიადაგზე გაავლოს კაცმა დასაბოსტნე ალაგზე ცოტათ მოშორებით ეს რუ ჩააღრმავოს ქვიშიან მიწამდის; ამიტომ რომ თიხა წყალს არ გაუშვებს და ბოსტანზე მოშორებით როცა ის წყალი ქვიშაში ჩავა, ქვიშას ადვილათ გაატანს და იქ დაიკარგება. ამნაირი რუ ზემოხსენებულს რუს ბევრათ სჯობია და იმის გაკეთება უფრო ადვილიც არის.

## შინაური აქიმობა.

### კბილის ტკივილი.

კბილის ტკივილია საშინელი მწარე და ძნელი მოსათმენელი. ტკივილის დროს, კაცს კბილი ეწვის ან ჰტეხს, თითქო რაღაც კბილში ჩაჯდომია და მწარედ კბენსო. თუ ასტკივდა ან ერთი კბილი ასტკივდება ან რამდენიმე. როცა კბილი გაჭიანდება ან როცა ღრძილები წახდება, კბილის ტკივილიც მაშინ აუტყდება კაცსა.

კბილის ტკივილი ორ ნაირია: ა, პირველ დაწყებითი (თვით-არსი), რომელიც წარმოსდგება თვითონ კბილებისაგან, როცა იმათ რაიმე სნეულობა გაუჩნდებათ და ბ) ზედის ზედითი კბილის ტკივილი, როცა ის წარმოსდგება ტანში ჩამდგარ სხვა და სხვა ავათმყოფობისგან. პირველი გვარი ტკივილი ბევრნაირი თვისებისაა, როგორც ბევრნაირია თვითონ მიზეზები, რომლებისგამოც ატყდება ხოლმე. რამდენ ნაირიც სხვა და სხვა ტანის სნეულობაა, იმათგან წარმოებულნი მეორე გვარი კბილის ტკივილიც იმდინ ნაირია.

შინაგანი მიზეზი კბილის ტკივილისა აი რამდენი არიან: კბილებში გასული ტვინის ძაფების ჯავრება, სუსტი აგებულობა, ორსულობა (ქალებისათვის), ნამეტნავათ პირველი სამი თვე ან ოთხი თვე, ცუდი სისხლიანობა ტანში და ყოველ გვარი ავადმყოფობა ტანისა, რომლებიც ხშირად ასტეხენ ხოლმე კბილის ტკივილსა; მაგალითად: ხმელი თიაქარი (ხმელი თიაქრის გამო კბილის ტკივილი), ციება (ციების გამო კბილის ტკივილი), კატარრი (კატარრის გამო კბილის ტკივილი), სურავანდი (სურავანდის გამო კბილის ტკივილი). კუჭის მოშლა (კუჭის გამო), ჭია (ჭიის გამო კბილის ტკივილი), თავპირის ტკივილი და ამისგამო კბილის ტკივილი, ბუასილი და (ბუასილისგამო კბილის ტკივილი) და სხვ.

გარეგანნი მიზეზნი, რომელნიც ასტეხენ კბილის ტკივილსა აი ესენი არიან: ა) გაცივება; ბ) ძალიან ცხელი, ან ძალიან ცივი სასმელი და ტკბილი საჭმელი, აგრეთვე მჟავეულის სმა, ან ძალიან მჟავე ხილის ჭამა, განსაკუთრებით დაუმწიფარ ტყემლის, ალუჩის და ქლიავის ჭამა, რომელიც კვეთავს კბილის ძვალს (კბილის მოკვეთა). გარეგანი ძალდატანებანი, რომელიცა კბილებს აფუჭებენ, მაგალითად ლონივრად კბილებში შემოკვრა, კბილების დაკვრა რაზედმე, ძვლისკვრეხა, ხვრა, მაგარი თხილის მტვრევა კბილებითა, მაგარ ნივთებზე კბილების მოჭერა; მაგალითად როცა კბილით მოეჭიდებიან ლურსმანს ან სხვა რამე ხის რიკს ამოსაძრობათ, ან ბაწრის და თასმის ნასკვულების გახსნა კბილებითა, კბილის ჩხრეკა რაიმე რკინეულითა, საჭმლის ნამცეცის გაჩხირვა კბილებში, ან კბილების ძირში ჩირქის ატანა პირ-გამოურეცხლობისაგამო.

ზემოთ ვსთქვით, რომ კბილის ტკივილი ორ გვარია: პირველ დაწყებითი და ზედის ზედითი. პირველ გვარი ტკივილი წარმოსდგება კბილების გაფუჭებისაგან; მეორე კი ტანის ავადმყოფობისაგან. ამის გარჩევა კაცმა უნდა იცოდეს, რომ შეიტყოს რა არის კბილის ტკივილის მიზეზი და იმის გვარათ იწამლოს. პირველი გვარი ტკივილი ყველა კბილებში არ ატყდება. ასტკივდება ან ერთი, ან ორი კბილი და მუდამ სტკივა გაუწყვეტლათ. როცა მეორე გვარი ტკივილია, მაშინ კაცს ყველა კბილები სტკივა და მუდამ არა: ხან დაცხრება, ხან იმატებს. კბილის მოკვეთას ხომ ყველა შეატყობს; ეს ემართება კაცს მჟაველის ჭამაში. კბილის თავები იჭრება და აღარ არიან დალესილნი; ამ დროს კბილები რომ ერთი ერთმანეთს მიაკარო, კრაჭუნი გააქვთ. ზოგჯერ კბილის ტკივილი სიმსივნის გამო წარმოსდგება, ზოგჯერ თვითონ კბილის ტკივილია სიმსივნის მიზეზი. ამის გარჩევაც უნდა იცოდეს კაცმა, რომ იმის დაგვარათ იწამლოს. ამაზე აი რას მოგვითხრობს გამოცდილი ექიმი ბენედიქტოვი. ათას რვაას ორმოცდა ათ წლს ყაზანში ერთმა კაცმა მთხოვა, იმის ცოლისთვის მეწამლებინა. ლოყაზე იარა გამოსვლოდა და იმის მორჩენას არა ეშველარაო. ვიფიქრე, იქნება კბილის მიზეზით იყოს მეთქი, გავუსინჯე კბილები, მაგრამ ვერა შევატყვე. კბილები თითქოს ყველა მრთელი ჰქონდა. თვითონ ქალმაც დამარწმუნა, კბილის ტკივილი არაოდეს არა მქონიაო, მხოლოდ ერთხელ ლოყაზე სიწ[illegible] გამიჩნდა და ისიც მალე გამიქრაო. ქალს სახეზე ეტყობოდა, რომ ტან მრთელი იყო და ამის გამო უფრო ავიღე იჭვი ეს ავადმყოფობა სწორეთ კბილის მიზეზით უნდა იყოს-მეთქი და ვურჩიე ჯაჰრა ექიმი, ხირურგი მოეყვანა.

ჯაჰრა ექიმმა მართლაც ნახა, რომ ამ იარის მიზეზი ერთი ძირის კბილი ყოფილიყო. იმან მოაძრო ეს კბილი და გამოჩნდა, რომ ის ჩაჭმული იყო ჭიისაგან. ამას შემდეგ იარაც მალე გაუქრა ქალს ლოყაზე.

პირველ დაწყებითი კბილის ტკივილის შეტყობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ სტკივა კაცს კბილი. Kბილის ფესვს თუ ანთება მოუვიდა, მაშინ ტკივილიც მძიმე და აუტანელია, ეს საშიშოც არის, და თუ ფესვს მხოლოდ რაიმე სხვა მიზეზი აჯავრებს, მაშინ ტკივილიც ისეთი აუტანელი რამ არ არის და არც საშიშოა. ზედის ზედითი კბილის ტკივილის შეტყობა დამოკიდებულია ტანის ავათმყოფობაზე. როგორც ეს ავათმყოფობა იცვლება, ისე კბილის ტკივილიცა.

Kბილის ტკივილი ტანშიაც იტანს ზნეს: იმისგან შეიძლება გაჩნდეს სიმსივნე, იარა, მჭამელი და კბილის მოძრაობის შემდეგ სისხლის დენა ამონაძრობიდგან.

ვიდრე კბილი ტკივილს დაუწყებდეს, მანამდის მას უნდა ძალიან გაფრთხილება: ყველასა სჯობია, რომ კბილები კაცს სუფთათ ჰქონდეს შენახული. არც წაუხდება და არც ასტკივდება ხოლმე. ამისგამო ჭამის შემდეგ პირი ყოველთვის თფილი წყლით უნდა გამოირეცხოს ხოლმე. ბატის კალმის წვერით უნდა იჩიჩქნოს კბილები, ან პატარა ხის ხიჭით და არა ნემსით ან ქინძისთავით, ამიტომ რომ რკინეული სჭრის და აფუჭებს. ჩაჭმული კბილი უნდა ამოავსოს ან თაფლის სანთლით, ან ტყვიით, ან ოქროთი. ამაებისთვის მცოდნე ექიმთან უნდა წავიდეს კაცი. ამასგარდა კაცი უნდა ცდილობდეს კბილები არ გაიციოს და არც ზემო მოხსენებული მიზეზები შეამთხვიოს.

წამლობა. პირველ დაწყებითი კბილის ტკივილის მოსარჩენათ უნდა ეცადოს ოფლის დენას და ფესვში ანთების გაქრობას. ამისთვის ავათმყოფმა ჯერ საფალარათო წამალი უნდა მიიღოს, და ამასთანავე ხშირად უნდა გამოირეცხოს პირი სალბის და გვირილის წვენითა, ან მალოქის (ბალბის) და ან სელის თესლის წვენითა. თუ ამ წვენში რძესა და თაფლს აურევენ, ის უკეთესი იქნება. რომელიც კბილი სტკივა, იმის ღრძილზე უნდა დაიდვა რძეში მოხარშული ყურძნის მარცვალი, ან შემწვარი ვაშლი და ამასთანავე უნდა დალიოს ოფლის სადენი ჩაი და ეცადოს ოფლის კარგათ დენასა. ამას გარდა კისერი და ლოყები შალის ბურსეულით უნდა აიხვიოს, ფეხები უნდა ჩაჰყაროს ნაცრის და მდოგვიანს ან ხრენ ჩაყრილს ცხელ წყალში. თუ კბილის ტკივილი ანთებისაგან მოგდის, წურბლები უნდა მოიკიდოს ყურს უკან, ან ზედ ღრძილზე მტკივანა კბილთან. თუ ღრძილებს სიმსივნე გაქვს და სურავანდი გჭირს, წურბლის მოკიდება არ შეიძლება, ამიტომ რომ სურავანდიანისთვის სისხლის გაშვება საშიშოა. როცა კბილი წამხდარი გაქვს და ტკივილი იმისგან არის, უნდა მოიწმინდოს ისა და ჩაიგუბოს პირში მაგარი სპირტი, ქაფურის სპირტი და ზეთი. ესები თითო წვეთად უნდა ჩაისხა ნატკენს კბილში. თამბაქოს წევა ძალიან ეხმარება კაცს.

ზედის ზედითი კბილის ტკივილის წამლობა სულ სხვა ნაირია. რადგან ის წარმოსდგება ხოლმე ტანის ავათმყოფობისაგან, ამისგამო როგორიც წამლობა ამ ავათ-მყოფობებს უნდა, კბილის მოსარჩენათაც ისეთივეა საჭირო.

---

### რქიანი საქონლის ჭირი.

ჭირი მარტო ხარ-კამეჩსა, ცხვარსა და თხებს ემართება ხოლმე; ცხენებს, ძაღლებს, კატებს და სხვა ცხოველებს კი არ ეკარება. ეს სენი საშინელი მომაკვდინებელი თვისებისაა, ამასთან მავნებელია და მაზარალებელი ყველა საქონლის პატრონისთვის. რომელ საქონელსაც კი შეეყრება ჭირი, რაც უნდა ძალიან ბეჯითათაც უწამლოს კაცმა, მაინც მორჩენა შეუძლებელია, და ის საქონელი უთუოდ მოკვდება; მორჩენა ათასში ერთი ძლივს მოხდება ხოლმე. ამ სენმა ისეთი მოფენა და გადადება იცის, რომ თუ საქონლის პატრონებმა ყური მიუგდეს და არ გაფთხილდნენ, მთელ მაზრას მოედება ხოლმე და ხან და ხან მთელ მხარესაც.

#### ჭირის ნიშნები.

ჭირით ავათმყოფი საქონელი მოწყენილ სახეს მიიღებს ხოლმე, ნახირს ჰშორდება და საჭმლის მადასა ჰკარგავს; წყლის წყურვილი ხშირად მოსდის, ტანში იშვიათად გადის და როცა კი გავა—ის გასული ხმელია, (შემცხვარივით) და ცხელიც არის; შარდზედაც იშვიათად გადის და შარდიც წითელი და ცხელი იცის.

ჭირიან ფურსა და ფურკამეჩს რძე აკლდება და ხანდახან სრულებითაც გაუშრება ხოლმე. სიარულში თითქოს ბარბაცებსო, ზლაზნით დადის, მეტადრე უკანა ფეხებს სუსტად დაძქვს, თითქოს მიათრევსო; მძიმედ სუნთქავს და კუდუსუნზედ ბალანი კალხზედ დაუდგება ხოლმე, ღორის ჯაგარივით; თვალები ემღვრევა, უცრემლიანდება და ამასთან მწვანე-ყვითელი, ლოპოიანი ლორწო სდის თვალებიდამ და ქუთუთოს გარეშემოზე უხმება ხოლმე, ბაყლივით; საშინელი ციება მოსდის: მთელი ტანითა თრთის (მეტადრე თავსა და ბეჭებს აკანკალებს), ძალიან შფოთავს, თავს აქნევს და ფეხებს აპარტყუნებს; პირში ოსპის ტოლა, წითელი ლაქები მოეფინება ხოლმე; წელი ისე ასტკივდება, რომ ხელი მოუსო ოდნივ, ტკივილისაგან ისე ჩაიზნიქება, რომ უკანა ფეხებს სრულებით ჩაიკეცავს; იშვიათად ახველებს, ამასთან ისე სუსტად, რომ ხიხინსა ჰგავს; ავადმყოფობის ბოლოს (და თუ საქონელი მობერებული და მოუძლურებულია—ავადმყოფობის დასაწყისშიაც) ჭიფხიანი, მყრალი მუცელში ფალარათობა შეეყრება ხოლმე; სიკვდილის წინ მყრალი სუნი აედინება ხოლმე, მუცელი ებერება, კანკალი მოსდის, თრთოლვა, კრუნჩხვა და ბოლოს ამ გვარ წვალებაში კვდება.

რადგან ეს სნეულება ყველა ამ გვარ სნეულებაზედ უფრო საშინელი და დაუნდობელია, ამიტომ მე საჭიროდ ვრაცხავ საქონლის პატრონებს მოკლედ გაუმეორო ის ნიშნები, რომლითაც იმათ შეუძლიანთ გაარჩიონ ეს სენი სხვა ამის გვარ ავადმყოფობისგან.

საქონელს რომ ჭირი შეეყრება—დიდ ხანს არის ხოლმე ავად (ერთ თვეს და მეტსაც) და ამასთან ისე რომ არცკი ეტყობა; ამ სენისგან ერთად ბევრი არა კვდება (ერთი, ხან ორი—მეტი არა); ამასთან ჭირი ყოველ დროს ჩნდება: ზამთარს, ზაფხულ, შემადგომაზედ და გაზაფხულზედაც.

ყველაზედ პირველად ჭირიან საქონელს დაუწყებს დენას ცრემლი, ფურთხი და წვინტლი; წელი ასტკივა, კუდუსუნზედ ბალანი დაუდგება კალხზედ, წელში მოიზნიქება, თავს აქნევს აქათ-იქით, ფეხებს ერთ ალაგას ვერ დააყენებს, იშვიათად და სუსტად ახველებს (ხიხინებს) ისიც ორ-ორჯერ მეტს არა.

საქონლის პატრონისთვის ძალიან საჭიროა რომ ექიმის მოსვლამდის შიუცდომელად იცნოს საქონლის ჭირი; ამიტომ მე ახლა იმას ავწერ, თუ რა ცვლილება და ნიშნები, აქვს ჭირით მომკვდარი საქონლის ლეშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სიკვდილის შემდეგ რა ნიშნებით შეიძლება იცნოს კაცმა, ჭირით მომკვდარა საქონელი თუ არა?

მუცელი რომ გაუჭრათ, თუ ჭირით არის მომკვდარი, ფაშვზედა და კუჭზედ წითელი ზოლები, ან ლაქები ემჩნევა; მესამე კუჭი ან წიგნარა მჭიდროთ ექნება გატენილი გამხმარი და გამაგრებული საჭმლით; მეოთხე კუჭი მოფენილი ექნება მუქი ლაქებითა და შიგაც საძაგელი სუნიანი, მომწვანო, ან მოწითანო ფერის ლორწო იდგება. ნაწლევები, უმეტესად წვრილი, მუქი ზოლებითა და ლაქებით იქნება მოფენილი. ნაღველი გასიებული ექნება, სიდიდით სამჯერ დიდი ჩვეულებრივზედ (კარგა მყოფზედ), ნაღველი გაწყალებული და წებოიანი იდგება შიგ; ტყირპი შეკრუნჩხული ექნება, ღვიძლი გადიდებული და ფილტვებიც გაბერილი.

ჭირიანი საქონლისგან კარგა მყოფს საქონელს გადაედება ხოლმე ჭირი:

1. ჭირიანი საქონლის ნერწყვისაგან, ჩირქისაგან, გარეთ გასულისგან და სხვ.;
2. ჭურჭლისგან, რომელშიაც ჭირიან საქონელს საჭმელი უჭამია, ან წყალი უსვამს;
3. საძოვრისაგან, სადაც ჭირიან საქონელს უძოვნია;
4. ბომიდგან, ბაკიდგან და სხვ. სადაც ჭირიანი საქონელი მდგარა;
5. სხვა ცხოველებისგან, ფრინველებისგანაც, რომელნიც ჭირიან საქონელთან ახლო ყოფილან, და აგრეთვე კაცებისაგანაც—ჭირიანი საქონლის მომვლელებისაგან;
6. ჭირიანი საქონლის მატყლისგან, ტყავისგან, ჩლიქებისგან და სხვ. (ერთხელ რუსეთის ერთ სოფელში იმისაგან გაჩენილა ჭირი, რომ ერთ მეძროხეს ჭირისაგან მომკვდარი ხარის ტყავი მოუტანია შინ; იმ ტყავისაგან მთელი სოფლის საქონელს გადასდებია ჭირი და ძალიან დაზარალებულა).

ყველა საქონლის პატრონი უნდა ერიდოს ამ ჭირს, რადგან ძალიან ძნელი მოსარჩენიც არის და ძალიან მაზარალებელიც.

### საქონლის პატრონმა ჭირს როგორ უნდა მოარიდოს თავის საქონელი.

1. უნდა ყოველთვის კარგი, ნოყიერი საჭმელი აჭამონ საქონელს და წმინდა წყალი ასვან; ხანდახან აძლიონ წყლით არეული ქატო, ან ფქვილი, მარილ მოყრილი; თივაც მარილ-წყალში დაუსველონ ხოლმე; ამასთან სუფთა და ფართო გომში უნდა ჰყვანდესთ, ქარი და წვიმა არ უნდა შედიოდეს შიგ, არც სიცივე; მალმალ დაუწმინდონ ხოლმე; დილით ადრე, მანამ ნამი არ გაშრეს, არ უნდა გამორეკონ საძოვარზედ.

2. არა ოდეს არ უნდა იყიდონ დავარდნილი საქონელი, რაც უნდა იაფიც იყოს, ამასთან თუ რამე საქონელი იყიდონ, ჯერ უნდა ცალკე შეინახონ და მერე, ერთ თვეს უკან, როცა დარწმუნდებიან, რომ საქონელი კარგა-მყოფია შეიძლება შეურიონ თავის საქონელში.

3. კარგი იქნება, რომ ყველა ახლად ნაყიდ საქონელს კარგა მყოფობის მოწმობა ჰქონდეს აქიმისგან. ესეთი ჩვეულება ყველა განათლებულ ქვეყნებში იციან, სადაც როგორც ხალხსა ჰყავს კარგი ექიმები, ისე საქონლისათვისაც სწავლული ექიმები არიან. საქონლის ყიდვის დროს ექიმს გაასინჯებენ ხოლმე, და ექიმიც, თუ საქონელი კარგა მყოფია, კარგა მყოფობის მოწმობას აძლევს, იმ პირობით, რომ თუ ავადმყოფი ამოჩნდება, აქიმმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ამ გვარი დაწყობილობა სადაც არის, იქ უფრო ძნელად გაჩნდება ჭირი; და სადაც კი თავმინებებულია ყოველი ფერი იქ რასაკვირველია ჭირიც თავის ძალას მოიხმარებს და ადვილად გავრცელდება.

### ჭირის წამლობა.

ჭირის წამლობა ან მორჩენა, როგორც ამბობენ ყველა პირუტყვის ნასწავლი ექიმები, თითქმის შეუძლებელია. ყველა ჭირიანი საქონელი, რაც უნდა წამალი აძლიო, უთუოდ მოკვდება. ბევრ ნაირი წამალი უხმარიათ სხვა და სხვა აქიმებს, მაგრამ ერთიც არ გამომდგარა და ამისთვის არც ერთს არ ვიტყვი აქ, რადგან უსარგებლო იქნება. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც უფრო ნაცადი და გამოსადეგია.

ყველა წამალს ის ემჯობინება, რომ რომელ საქონელსაც ჭირი გამოაჩნდეს, მაშინვე მოკლან და შორს წაიღონ, რომ იმათგან სხვებსაც არ გადაედოს ჭირი. ეს საშუალება ნაცადიც არის და ყველა წამლობაზედაც უფრო გამოსადეგი. ასე იქცევიან ხოლმე ნემეცები, როცა იმათ საქონელში ჭირი გაჩნდება. ერთ კოლონიაში (ნემეცების სოფელში) გაჩნდა საქონლის ჭირი. მე ვურჩიე, რომ რომელსაც ჭირი გამოაჩნდებოდა (შესატყობი ნიშნები ხომ ზევით ვსთქვი)—მაშინვე მოეკლათ, წაეღოთ შორს და მიწაში ღრმად ჩაეფლათ. ეს ჩემი რჩევა დაიჯერეს და მთელს სოფელში სულ ექვსი ჭირიანი სული მოკლეს და ამით სხვა საქონელი, ორას სულზედ მეტი, დაიხსნეს ჭირისგან. იმათ რომ ჭირიანი საქონელი მაშინვე არ მოეკლათ, იმათგან სხვებს გადაედებოდათ, იმ სხვებისაგან კიდევ სხვებს და ამ გვარად რაც იმ სოფელში საქონელი იყო სულ გაუწყდებოდათ.

წამლობისთვის უფრო სასარგებლოა შემდეგი წამლები იხმარონ. ჭირიან საქონელს ჯერ პირველად უნდა ასვან ლორწოიანი სასმელები; მაგალითად: ერთ ბოთლ სელის ნახარშში უნდა გაურიონ ნახევარ ბოთლი ზეთი, ამას მიუმატონ ხუთი კოვზი წმინდად დანაყილი მარილი და ასვან. შემდეგ, როცა მუცელში გახსნის პირუტყვს, უნდა აიღონ ორი მისხალი მარილისმჟავეში, გაურიონ ერთ ბოთლ ნახარშ წყალში, გაჰყონ ორად და ნახევარი დილით დაალევინონ, ნახევარი საღამოს. მკერდზედა და გვერდებზედ უნდა გაუყარონ სკიპიდარში (თეთრი ნავთია—აფთიქაში ჰყიდიან) დასველებული პატრუქი, და ჩირქი ადინონ ათ დღეს, ან მეტსაც. მაგრამ კიდევ უნდა, გაიმეორო, რომ ეს წამლობა უიმედო იქნება; ყველაზედ უკეთესი ისარის, რომ საქონლის პატრონებმა ერთი პირი იქონიონ და ეცადნენ, რომ ერთისგან ჭირი სხვებსაც არ გადაედოს და ამით თავიანთი საქონელიც დაიხსნან და მეზობლისაც. ესეთი მოქცევა რიგია, რადგან ამას გვიბძანებს კანონიცა და სვინიდისიც. ამასთან ძნელიც არ არის და არც ძვირად დაჯდება ეს გაფთხილება.

### ვისაც ჰსურს, რომ ჭირი არ გავრცელდეს საქონელში და იმისგან დიდი ზარალი არ მიეცეს საქონლის პატრონებს, ის ამ გვარად უნდა გაფთხილდეს:

1. როდესაც ჭირი ამოჩნდეს საქონელში, მაშინვე, დაუყოვნებლივ უნდა აქიმს შეატყობინონ (პირუტყვების აქიმს). აქიმი უეჭველად ეცდება, რომ ჭირი დასაწყისშივე მოსპოს და საღ საქონელს მოარიდოს უბედურება.

2. ავად მყოფი (ჭირიანი) საქონელი უნდა გამოარჩიონ და თუ აქიმმა ნება მისცეს—სა-

ხარცად დ.კლან, თუ არა-სხვა საქონელს განაშორონ.

კარგა მყოფი საქონელი კი, თუ შეიძლება, უნდა სხვაგან წაასხან და მოაშორონ იმ ალაგს, სადაც ჭირია; ყოველ დღე ნაცარ-ტუტითა ჰბანონ, და დღეში რამდენჯერმე ცივი წყალი ასხან ტანზედ; ამასთან მთელი ტანი უნდა დაუსრისონ ხოლმე ნამჯით. კარგი იქნება, რომ ჭირიანებს სინგური უხრჩოლონ.

3. რაც საქონელი მოკვდება სოფელში, შორს უნდა გაიტანონ, ტყავი დაუსერონ (დაუჭრან) და მიწაში ღრმად ჩაფლან; მკვდარ საქონელს რითაც წაიღებენ,—ურემი იქნება, თუ პოსკა—უნდა მაშინვე დაწვან; ამისგამო—ურემი, ან პოსკა—ცუდი, გაფუჭებული უნდა ამოარჩიონ, რომ დასაწვავად არ დაჰნანდესთ.

4. რაც ჭირიანი საქონლის ახლო იქნება: ნამჯა, თივა, ბზე, აგრეთვე ნეხვი და სხვ — სულ ყველაფერი უნდა ღრმად ჩამარხონ მიწაში, ან დაწვან.

5. ბომები, სარაიები, ბაკები და სხვა, სადაც კი ჭირიანი საქონელი მდგარა, უნდა რიგიანად გაწმინდონ, ქარი ამუშაონ შიგ, მიწა ათხარონ და სხვა, ახალი მიწა დააყარონ; ამასთან რაც ხის იარაღი, ან ნივთი იქნება შიგ, ნაცარ-ტუტი უნდა უხრჩოლონ, და რაც კი რკინისა: ბარი, წერაქვი და სხვ.—უნდა ცეცხლში გაახურონ და ისე გამოწონ.

6. სადაც ჭირია—იმ სოფელში შესავალ გზაზედ უნდა ყარაულები დააყენონ და ყველა მგზავრს დაუშალონ იმ სოფელზედ გავლა, თუ მგზავრი სხვა სოფელშია მიმდინარე,—ეს იმისთვის, რომ ჭირი სხვა სოფელში არ გადიტანონ.

7. ახლად ყიდვა რომ უნდოდესთ საქონლისა, უნდა იყიდონ უთუოდ ექიმის მოწმობით, რომ საქონელს არა სჭირდეს რა და კარგა მყოფი იყოს,—თუ არა ყიდვა საშიშია. ამასთან ახლად ნაყიდი, კარგა მყოფობის მოწმობიანი, საქონელი უნდა ისეთ ბაკებში დააყენონ, სადაც იმის წინ ცხენები ჰბმიათ, ან თივა და ბზე ყრილა, თუ არა, სადაც ჭირიანი საქონელი ყოფილა, იქ დაყენება ძალიან ცუდი იქნება, რადგან იმათაც მაშინვე გადაედება ჭირი და დაჰხოცავს.

როგორც აქა ვსთქვი, ისე რომ უგდონ ყური და ყველა რჩევა აასრულონ, მაშინ უეჭველია ჭირი აღარ გავრცელდება სოფელში და ბევრ ზარალსაც აღარ მოიტანს.

ამ რჩევების ასასრულებლად, რასაკვირველია, ერთი კაცი არა კმარა,—ამისთანა გაჭირვებაში მთელმა სოფელმა უნდა გამოიღოს თავი და ერთმანეთს უნდა უშველონ, რომ უფრო ადვილად და მალეც მოუღონ ბოლო კაცისა და საქონლის მტერს და მაზარალებელ ჭირს. ესეთი თავის გამოდება და ზევით ნათქვამი რჩევების აღსრულება, რაც უნდა იყოს, ათჯერ იაფად დაჯდება იმ ზარალზედ, რომელსაც ჭირი მოუტანს კაცს მაშინ, როდესაც კაცი ყურს მიუგდებს და თავს მიანებებს თავის, ან მეზობლის საქონლის ხოცვას. წელან რომ ნიმეცების სოფელი მოვიყვანე მაგალითად (ნიმუშად). იმ სოფელში, როგორცა ვსთქვი ორას სულზე მეტი მსხვილი საქონელი იყო. ჭირი როცა გაჩნდა, თავი რომ მიენებებინათ და ჩემი რჩევა არ დაეჯერებინათ ამ ნემეცებს, უეჭველად ერთ თვეზედ იმათი საქონელი სულ გაწყდებოდა; მაგრამ როდესაც ჩემი რჩევა დაიჯერეს და ისე მოიქცნენ, როგორც ზევითა ვსთქვი, მაშინ ორ ას სულში სულ ე ქ ვ ს ი სული იზარალეს. ეს ზარალი თითქმის არაფერია. რასაკვირველია ამის გარდა სხვასაც დაჰხარჯავდნენ: აქიმზედ, მუშებზედ, წამლებზედ და სხვა რჩევის ასასრულებლად, მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმდენს ვერას დაჰხარჯავდნენ, რამდენიც ღირს ას ოთხმოცდა ოთხი, ჭირისაგან გადარჩენილი, საქონელი.- ამდენი სული, სულ უკანასკნელი თითო რომ ოცდა ხუთ მანეთად ვიანგარიშოთ ზედაზედ,—სულ შეადგენს ოთხას ოთხმოცდა ხუთ თუმანს. რაც უნდა ბევრი დაეხარჯოთ აქიმზედა და სხვა ზევით აწერილი რჩევის ასასრულებლად,—ორმოც თუმანზედ ხომ მეტს ვერ დაჰხარჯავდნენ (ექვსი მომკვდარი საქონელიც რომ შიგ ჩავატანოთ); მაშ გამოდის, რომ ოთხ ას ორმოცი თუმანი მაინც დარჩენიათ წაუგები. ახლა რომ არ მოეარათ და არ დაეხარჯათ ის ორმოცი თუმანი, რომელიც ჩვენ ჩავაგდეთ, მაშინ უეჭველად მთელი საქონელი გაუწყდებოდათ (იქნება ოცილა გადარჩენოდა) და იზარალებდნენ ო რ მ ო ც ი თუმნის მაგიერად—ხ უ თ ა ს თ უ მ ა ნ ს,—იმ ფულს, რ ა ც ა ღ ი რ ს ო რ ა ს ი ს უ ლ ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი. კაცი არაოდეს არ უნდა მოერიდოს ხარჯსა და შეწუხებას, როდესაც იმ ხარჯისგან გამოდის მოგება: ყველამ იცის, რომ თუ არ დასთესს კაცი—ვერც მომკის, თუ არ დაჰხარჯავს—ვერც მოიგებს.

რაც უნდა ხარჯი მოუვიდეს ზევით ნათქვამი რჩევების ასასრულებლად, ჭირიანობის დროს, მაინც მოგება ე რ თ ი ა თ ა დ ექნება უეჭველად; ამისთვის ყველგან უნდა ბეჯითად და სწრაფად აღასრულონ ჩვენი რჩევა, საცა კი საჭირო იქნება, რადგან დიდი სარგებლობა მიეცემათ ამ რჩევის ასრულებისაგან. განკარგულება და თარბა რასაკვირველია ჭირიანობის დროს ვალადა სდევს უფრო სოფლის მამასახლისებს, და ყველა გვარი თავ მინებება და დაუდევნელობა ამ უბედურების დროს პასუხის გებაში აგდებს იმათ.

შემდეგ ფურცელში ავწერთ საქონლის სხვა გვარ ავადმყოფობას და იმის წამლობას.

---

## სხვა და სხვა დარიგება და ანბავი.

### ორიოდე დარიგება მოწამლის შეტყობაზე.

მოწამლაზე ეჭვს მაშინ აიღებენ, როდესაც კარგად მყოფობის შემდეგ, რომლისამე საჭმლის მიღების გამო, უცებ დაემართებათ ხოლმე: ა) წუხილი, მუცლის გლეჯა, ძლიერი გულის რევა, ძალზედ ღებინება, მუცელში ფალარათობა და კუჭის წვა; ან კიდევ ბ) წუხილს შემდეგ მოჰყვება კუჭის ტკივილი, თავბრუს დახვევა, გულის რევა, გულის წუხილი, სიმუნჯე, მძინარობა, როტვა, გრძნობების მოტყუება და კრუნჩხვა.

პირველი ამ სნეულებათაგანი მადნეულს საწამლავებს ეკუთვნიან, მეორეები კი მცენარე საწამლავებს. ეს საუბედურო მოწამლა უმეტეს ნაწილად უკოდინარეობიდამ წარმოსდგება და არა განზრახვით. მაგრამ მოწამლის მიზეზი რაც უნდა იყოს და შხამიც რაგვარი თვისებისაც უნდა იყოს, იმისგან მოწამლულის შველა შეიძლება ამაებით: 1) საჩქაროდ შხამის ამოღებინებით გვამიდამ; 2) თუ რომ ამის ასრულება საჩქაროდ არ შეიძლება, მაშინ როგორმე უნდა შეაჩეროს შხამის ძალა; 3) სრულებით გააუქმოს იმისი მოქმედება.

§ 1

ღებინება უმეტეს ნაწილად თვით შხამისაგან წარმოსდგება ხოლმე. თუ ეს საკმაო არ იყოს, ღებინება კიდევ უნდა გააძლიეროთ

თბილი წყლის სმით, აგრეთვე თბილი რძით, გვირილას ჩაით, პირში ხელის ანუ ფრთის ჩაყოფით და სხვა. შხამის ძალის შეჩერება შეიძლება შვრიის და ქერის ლორწოიანი გამოხარშული წვენით, ზეთის სმით და სხვა; იმის მავნებელი მოქმედების გაუქმება კი ექიმის საქმეა.

### მადნეული საწამლავები.

მადნეულ საწამლავებთაგანში უპირველესი არიან: დარიშხანა, მარგიმუშკი (სულეიმანი), ქანგარო, ტყვია და სიმჟავეები, შაბიამანის ზეთი, თეზაფის წყალი, ოქროს დამდნობელი თეზაფის წყალი. (*)

### დარიშხანი.

დარიშხნით მოწამვლა შეიტყობა პირის სუსხვით, მყრალი სუნთქვით, ღორბლიანობით, საყლაპავის შევიწროებით, სლოკინით, გულის რევით, მოწამლული ამოაღებინებს შავი სისხლის ფერ ბალღამს, შემდეგ მოჰყვება გულის წუხილი, სიცხე და გულის კოვზის ტკივილი, ტანში გასვლა შავი და მყრალი, გულის ფრიალი, კანის მწველი სიცხე და ძლიერი წყურვილი; ძლივსღა სუნთქვა, მცირე, წითელი სისხლის ფერი შარდი, ბნედის მსგავსი მანჭვა და დასასრულ სიკვდილი.

§ 2

ექიმის მოსვლამდის ამ შხამისაგან მოწამლულს უნდა ასვათ ლორწოიანი გამოდუღებული სელის ანუ შვრიის წვენი, ან დაშაქრული და კვერცხის ცილიანი წყალი, აგრეთვე თბილი წყალი ზეითუნის ზეთით, იმდენი, რომ ღებინება დააწყებინოს, ამასთანავე მოუხშიროთ ღებინება პირში ფრთით ან ხელის ჩაყოფინებით, ან კიდევ ერთი ჩაის ფინჯნის ზეთით.

§ 3

თუმცა ხანდახან ეს შხამი თვითონვე დააწყებინებს ღებინებას, ეს საკმაო არ არის; ღებინება უნდა განუგრძონ ამ ზემოხსენებული სახსრებით.

(*) თეზაფის წყალი ორ ნაირია: ერთი რომელიც ყველა რვალებს ადნობს, ოქროს გარდა და მეორე, რომელიც მარტო ოქროს ადნობს.

§ 4

ღებინება რომ მოუხშიროთ, ამასთან ისიც უნდა ეცადოთ, რომ ტანში გასვლა შეამციროთ. ამისთვის უნდა იმხროთ მჟავეულობა, სელის წვენი ზეთში გახსნილი, საპონში და მარილში გახსნილი და ერთ-ერთ ამათგანი უნდა ასვათ.

§ 5

მოწამლული რომ საშინელ გულის კოვზის წვას და ტკივილს, აგრეთვე მუცლის ტკივილს შემოგჩივლებთ, მაშინვე წურბლები უნდა დაასხათ იმ ალაგს 20 დამ 40 ცამდე, იმის გვარათ მოჭარბებული აქვს თუ არა სისხლი.

§ 6

სხვა გვარი შველა მოწამლულისა, როდესაც ანთება დაემართება, ექიმის საქმეა.

---

### მავნებელი თაგვების გაჩენა.

16 მარტს შამახიდგან იწერებიან: „ბაქოს გუბერნიაში, ბოქჩისა და ჯავათის მაზრის ვაკეზედ დიდძალი თაგვი გაჩნდა, და მომეტებული ნაწილი შემოდგომაზედ დათესილი ნახნავებისა სრულებით გაოხრაო. ამის გარდა იმ თაგვებს დიდი ვნება მოაქვსთ იქაური მოტანტალე მოსახლეთათვის (*) იმითი, რომ ღამ-ღამით იმათ ცხვრებს მატყლს უკაწვენ და ზოგ ცხვრებს ისე ატიტვლებენ, რომ სიცივეს ველარ იტანენ და იხოცებიანო; ეს კი აღარ იციან თუ ის თაგვები იმ მატყლს სჭამენ, (რადგან მატყლში ბევრი სიმსუქნეა) — თუ სოროებში ჩასაგებათ მიაქვსთ; ეს უკანასკნელი უფრო მართალიაო, იქაური მოტანტალე მოსახლენი ამბობენ. შესანიშნავი ის არის, რომ ეს თაგვები თურმე სოროში უვარდებიან სიცივისგან დაკრუნჩხულ გველებს და სჭამენ იმათ; მინდვრებშიაც ბევრ მკვდარ გველებსა პოულობენ. ამბობენ იმათი სიკვდილის მიზეზიც ის არისო, რომ როცა ეს გველები თბილ, მზიან დღეში გამოიმზევებენ ხოლმე, იმათ მაშინვე თაგვის ხროვები დაეცემიან და კბილებით იმდენს სწიწკნიან, რომ ეს გველები ველარ იტანენ დაჭრილობასაო და იხოცებიანო. როგორც მოტანტალე მოსახლენი, ისე მხვნელ მთესველებიცა ცდილობენ ამ თაგვების გაწყვეტას მაგრამ ვერა მოუფიქრებიათრა; მოტანტალეთ ამის მეტი ვერა მოიგონეს რა, რომ როცა იმათ ცხვრის ფარებთან ბევრი თაგვი გაჩნდება ხოლმე, მაშინ ესენი თავის ფარებით სხვაგან გადადიან. ამ გვარი ოსტატობისაგან რასაკვირველია დიდი სარგებლობა ვერ გამოვა და თაგვიც ვერ გაწყდება, რადგან ჯერ ერთი, რომ ზამთარში ერთი ალაგიდამ მეორე ალაგას გადასვლა ძალიან ძნელია, და მეორე — თაგვები იმათ ახალ სადგომს მაინც მიაგნებენ ხოლმე და ისევ თავისას სჩადიან.

(*) მოტანტალე მოსახლეს იმათ უძახიან, ვისაც ერთ ალაგას არა აქვს ბინა. ამათ იციან: როცა ერთგან მოაკლდებათ, საზრდო მაშინ თავის სარჩოთი და საქონლით იქიდგან მეორე ალაგას გადადიან ხოლმე (ტანტალებენ).

---

გაზაფხული დადგაო  
ხეში წყალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო  
საძირკველი გადგაო.

გაზაფხულის სიცხე რაკი მიწას გაათბობს, მიწიდგან გველიც თავს ამოჰყოფს. ჩვენ პატარა სოფლის ბიჭებს, რომელნიც ფეხ-ტიტველაები დარბიან ხოლმე, უნდა ვურჩიოთ, რომ ფრთხილათ და წინ დახედვით იარონ ხოლმე ბუჩქებში და ჭაობიან ადგილებში, ამიტომ რომ ამისთანა ადგილებზე გველმა იცის ხოლმე თბილ მზეზე გამოფიცხება. გველი ორ გვარია: ერთსა აქვს გესლი, შხამი, მეორეს არა. შხამიანი გველი ზოგი შავია, ზოგი მოწითლო, ზოგი რუხი. უგესლო, უშხამო გველი ჭრელია, თეთრი და ცისფერი ფორაჯები აქვს ტანზე. ამისთანა გველს ჩვენში ეძახიან ანკარას, გველხოკერას. ამ გველის მოკვლა ცოდვაც არის, ამტომ რომ ჭიებისა და პატარა ცხოველების მეტს არას ჭამს და იმითი სარგებლობას გვაძლევს. გესლიანი გველი კი საშიშარია, ამიტომ რომ იმისი გესლი კაცს სწამლავს. იმას ზევითა ყბაში იქით და აქეთ გძელი კბილები აქვს და ამ კბილების ძირში პატარა გესლის პარკებია, სადაც გველი გესლს ამზადებს. გძელი კბილები გახვრეტილი აქვს და როცა კაცს უკბენს ხოლმე, ამ კბილებიდგან შხამი ხორცში ჩასდის. ბევრს ჩვენგანს სჯერა, ვითომც გველი როცა წყალში ჩავა გესლს წყლის კიდეზე სტოვებს ამიტომ გველი წყალში არა კბენსო. ეს ტყუილია. გველი თუ წყალში არა კბენს, ეს იმისთვის რომ ჩვენ წყლებში რომ გველი დასცურავს, იმას შხამი არა აქვს და თუ შხამიანი გველი შემთხვევით ჩავარდა წყალში, ის იმიტომ არა კბენს, რომ პირის გაღების ეშინია, არ დაეხრჩოს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го марта 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.